პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ORGAN CENTRALNOGO i TBILISSKOGO KOMITETOV KP (b) GRUZII i SOVETOV DEPUTATOV TRUDYASCHIXSYA GRUZINSKOY SSR

სამშაბათი, 19 სექტემბერი, 1944 წ. № 190 (7143). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

პირუტყვის გამოზამთრების წინ. მოწინავე. (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 17 და 18 სექტემბრის ოპერატიული ცნობები. (1-ლი გვერდი).

გერმანელების ბოროტმოქმედებანი მოსპობის მაიდანეკის ბანაკში. (1-ლი გვერდი).

მარშალ ანტონესკუს ჯგუფისა და რუმინეთში გერმანიის სარდლობის წარმომადგენელთა დაპატიმრება. (1-ლი გვერდი).

აახენის მისადგომებზე. (1-ლი გვერდი).

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. (მე-2 გვერდი).

სავალდებულო სამხედრო სწავლების ძვირფასი-ბარბა-დი თბილისში. (მე-2 გვერდი).

უცხოეთის ამბები. რუზველტისა და ჩერჩილის ერთობლივი განცხადება. რუმინეთის მინისტრის განცხადება რუმინეთთან დროებით ზავზე შეთანხმების შესახებ. ამერიკული პრესა რუმინეთთან დროებითი ზავის პირობების შესახებ. საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში. ჰიტლერელი დამნაშავენი თავს აფარებენ ესპანეთსა და არგენტინას. (მე-2 გვერდი).

პირუტყვის გამოზამთრების წინ

საკოლმეურნეო ფერმებისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისათვის ფრიად პასუხსაგები პერიოდი იწყება. ახლოვდება ზამთარი. საჭიროა ყველაფერი მოვუმზადოთ საქონელს საზამთროდ, უზრუნველვყოთ მისი საუკეთესო გამოზამთრება.

წელს ჩვენს რესპუბლიკაში თივის აღება, უხეში და წვნიანი საკვების დაგროვება უკეთესად მიმდინარეობს, ვიდრე შარშან. თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა საქონლის ვეტერინარული მომსახურება. მთელმა რიგმა რაიონებმა გადამეტებით შეასრულეს თივის აღების გეგმა. მოწინავე კოლმეურნეობები კარგა ხანია შეუდგნენ მზადებას საქონლის გამოზამთრებისათვის. ზოგან კი, მაგალითად, დუშეთის, თბილისის, თელავის, გორის, საგარეჯოს, თიანეთის, ქარელის, ბაშკიჩეთის რაიონებში მზადება საქონლის გამოზამთრებისათვის არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

მიუხედავად იმისა, რომ თივის აღების დაწესებული ვადა უკვე გავიდა, ეს სამუშაო არ დაუმთავრებია აფხაზეთის ასს რესპუბლიკას და ქარელის რაიონს; ახალციხის, ყვარლისა და ხაშურის რაიონებში საკვების დასილოსება ნელი ტემპით სწარმოებს.

მთელი რიგი კოლმეურნეობები აჭიანურებენ საკვების მიზიდვას საქონლის საზამთრო სადგომებამდე. ასეა, მაგალითად, თბილისის რაიონის სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში, თელავის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის დროშაში“. ყაზბეგის რაიონის სოფელ გიმარის კოლმეურნეობას, როცა ყიზლარის საძოვრებიდან პირუტყვი ჩამორეკა, ერთი ცენტნერი თივაც არ ჰქონდა მომზადებული. მსგავსი ფაქტები სხვაგანაცაა.

ზოგიერთ ადგილას აჭიანურებენ პირუტყვის საზამთრო სადგომების შენებლობასა და რემონტს; თბილისის რაიონის სოფელ კუმისის სტალინის სახელობის, სოფელ ლისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებში ორი-სამი წელია შენდება საქონლის სადგომები, დამთავრებას კი ბოლო არ უჩანს. ბაშკიჩეთის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობა აგვიანებს რემონტის დაწყებას. კასპის რაიონში გამონაკლისი როდია ისეთი შემთხვევები, როდესაც საქონლის სადგომებში არ არის დაცული სისუფთავე, ნაკლები ყურადღება ექცევა საკვების კარგად შენახვას.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ ამ ნაკლოვანებათა უახლოეს დღეებში გამოსწორებისათვის.

რა პირობებია საჭირო საქონლის საუკეთესოდ გამოზამთრებისათვის?

პირველი პირობა მტკიცე საკვები ბაზის შექმნაა. ყველა კოლმეურნეობამ, მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობამ მთლიანად უნდა შეასრულოს უხეში და წვნიანი საკვების დაგროვების სახელმწიფო გეგმები დაწესებულ ვადაზე. ამისათვის საჭირო იქნება მარცვლეულის, ცერცვოვანი, ტექნიკური და ბაღჩეულ-ბოსტნეული კულტურების ნარჩენების ფართოდ გამოყენება დასასილოსებლად. მოწინავე კოლმეურნეობები განმეორებით იღებენ თივას. ეს ინიციატივა ყოველმხრივ მისასალმებელია. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სიმინდის ჩალის მთლიანად შეგროვებას. კოლმეურნეობებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ საკვების საზამთრო ადგილებამდე მიზიდვა დამთავრდეს ნოემბრამდე.

მეორე პირობა საქონლის საუკეთესოდ გამოზამთრებისათვის არის სადგომების მომზადება საზამთროდ. საჭიროა ძველი სადგომების რემონტი და ახლის მშენებლობა დამთავრდეს დაწესებულ ვადაში—15 ოქტომბრისათვის. ამისათვის საჭიროა კოლმეურნეობებში ახლავე გამოჰყონ სპეციალური სამშენებლო და სარემონტო ბრიგადები. კოლმეურნეობათა გამგეობებმა ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყონ მათ მუშაობას. ყურადღება უნდა მიექცეს საქონლის სადგომებისათვის სამშენებლო მასალების ადგილზევე გამოძებნას.

მესამე პირობა საქონლის საუკეთესოდ გამოზამთრებისათვის არის სადგომების დროული დეზინფექცია, მათი გათბობის კარგი ორგანიზაცია და საკოლმეურნეო ფერმების უზრუნველყოფა ინვენტარითა და მოწყობილობით.

ამ პირობებს ჩვენ მაშინ შევქმნით, თუ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, სამეწარმოქმედო ორგანოები მიიღებენ ყველა ზომებს, დააჩქარებენ საქონლის გამოზამთრებისათვის მზადებას, ყოველდღიურად, კონკრეტულად უხელმძღვანელებენ ამ მუშაობას.

მეცხოველეობის დარგში ჩვენ გვყავს შესანიშნავი კადრები, რომელნიც დაუღალავად მუშაობენ. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ამ კადრებით მეცხოველეობის ყველა ფერმა იყოს დაკომპლექტებული.

საკოლმეურნეო სოფელი უმაგალითო საწარმოო და პოლიტიკურ აღმავლობას განიცდის. მამაცი წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებები, მოპოვებული დიდი **სტალინის** გენიალური მხედართმთავრობით, კოლმეურნეებს აღაფრთოვანებენ ახალ-ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ფაროოდ ჩაღდება საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება სოფლად.

მეცხოველეობის მუშაკებო! საქმით შევასრულოთ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავისათვის ნაკისრი ვალდებულებები, ახალი წარმატებებით შევხვდეთ დიად დღესასწაულს საზოგადოებრივი მეცხოველეობის დარგშიც. სიცივეების დაწყებამდე მთლიანად დავამთავროთ მზადება საქონლის გამოზამთრებისათვის, გადაჭრით გავაუმჯობესოთ საქონლის მოვლა, არ დავუშვათ არც ერთი სული საქონლის სიკვდილი.

მივცეთ ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს უფრო მეტი ხორცი, ერბო-კარაქი, რძე და მეცხოველეობის სხვა პროდუქცია!

აახენის მისადგომებზე

შტოლბერგი, აახენის აღმოსავლეთით, 18 სექტემბერი. **(საკუთარი სამხედრო კორესპონდენტებისაგან).** მოკავშირეთა არმიები ამ დღის განმავლობაში მიიკაფავდნენ გზას გერმანიის საზღვრებისაკენ. ამ დღეს მიმდინარეობდა ბრძოლა გერმანიის „შიდა თავდაცვითი ხაზის“ მისადგომებზე. და აი, ბოლოს, მოკავშირეთა ქვემეხები მშვენოდა გერმანიის ტერიტორიისაკენ, გერმანიის ქალაქებსა და სოფლებში განლაგებული ჰიტლერელთა სიმაგრეებისაკენ.

ძმიმე არტილერია ზედიზედ უშენს იქ ყუმბარებს. აახენს თავს დასწოლია უზომზარი შავი ღრუბელი. აახენის სამხრეთით და აღმოსავლეთით სვეტებად ადის თეთრი კვამლი — ეს სოფლები იწვის. სხვა ადგილას ალმარსულა სქელი შავი კვამლი — სჩანს მტრის ტანკები ან საწვავის საწყობები იწვის.

რეტგენის აღმოსავლეთით მდებარე ტყიანი ბორცვის მწვერვალიდან სჩანს მთელი ხეობა, რომელიც მიდის ვალპაიმის, კორნელიმუნსტერის და ბიუსბახისაკენ. მოსჩანს სოფლები, რომლებიც მკვდრებს გვანან, მოსჩანს დაცარიელებული გზები. პირდაპირი გზა აახენისაკენ ძლიერ დანაღმულია. ქალაქის მიდამოებში დაძაბული ბრძოლები მიმდინარეობს.

ჩვენ სწორი კუთხით ვუზვევთ სამხრეთისაკენ და ხეობაში ვეშვებით. ამერიკის პირველი არმიის სატანკო კოლონასთან ერთად შევდიგართ რეტგენში. ქუჩები ცარიელია, სახლები დაკეტილი. რეტგენის სადგურზე დგანან ეშელონები. გერმანელებმა ვერ მოასწრეს მათი წაყვანა, რადგან გზები დაზიანებულია.

გავიარეთ რეტგენის ტყე. ტყის შემდეგ იწყება „ზიგფრიდის ხაზი“. რამდენიმე წყება რკინაბეტონის ბოძკინტები და ბოძკინტების წინ ტანკსაწინააღმდეგო თხრილია—ეს მხოლოდ გზაზე. ბოძკინტებს იქით ხანგრძლივი საცეცხლე წერტილია. ისინი აგებულია რკინაბეტონით 40-50 მეტრზე ერთმანეთთან. მხოლოდ მათი ერთი ნაწილი უყურებს პირდაპირ საზღვარს, სხვები—გერმანიისაკენ იყურებიან, რომ ძალა შემატონ ტანკებს თუ ქვეითს ჯარს. ამ ხანგრძლივ საცეცხლე წერტილს იცავდნენ მეორეხარისხოვანი ჯარისკაცები—მოხუცები, დაჭრილები. რომელთაც ვერ მოასწრეს გაევლოთ მკურნალობის სრული კურსი, და ჰიტლერული ახალგაზრდობის ორგანიზაციის ლაწირაკები. ესენი განკარგულებაში მხოლოდ მსუბუქი ზარაი იყო. ამერიკელი მაიორის სიტყვით, ძმიმე ტყვიამფრქვევებიც კი მოხსნეს და რუსეთის ფრონტზე გაგზავნეს. ჰიტლერული საარლობა ცდილობდა გემაგრებინა ეს ხაზი დადგა, რომლებიც ამერიკელთა ტანკებმა და არტილერიამ ადვილად დასძლიეს.

სოფელი და სადგური ვალპაიმი ჩამკვდარია; მხოლოდ ძროხები სძოვენ ბოსტნებში. სახლები ცარიელია.

შევდივართ კორნელიმუნსტერში. ვხვდებით გერმანელთა ჯგუფს. ისინი ზურგს გვაქცევენ, არა სურთ შეამჩნიონ არც ტანკები, არც ოფიცერთა მანქანები, რომლებიც იქვე დგანან. მხოლოდ, როცა ხედავენ, რომ მათ აყურადღებას არ აქცევენ, შემპარავად იცქირებიან აქეთ-იქით. ვხვდებით გერმანელთა სხვა ჯგუფს—მათ თვალებში ბოროტება და სიძულვილი მოსჩანს.

კვამლის ღრუბელი აახენის თავზე შორს გვრჩება უკან. წინ დაირენისაკენ ჩნდება კვამლის სვეტები — ეს ამერიკელთა ერთ-ერთი სატანკო დივიზია გზას მიიკაფავს აღმოსავლეთით რაინისაკენ. ჰიტლერელთა სარდლობამ, რომელსაც კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ მათი „ზიგფრიდის ხაზი“ ვერ შეაფერხებდა მოკავშირეთა ჯარების შეტევას, გადასწყვიტა რაინს გაღმა ეძებნა თავშესაფარი. მან იქით წაიყვანა გადასახალისებლად „სს-“ელთა ნაწილები, იქითვე მიჰყავს ტანკები და არტილერია. მაგრამ ამ უკანასკნელ დღეებამდე მას არ გააჩნდა და არ გააჩნია გეგმა. რამდენიმე დღის წინათ მან უეცრად გადაიყვანა ბელგიაში, მალმედის სამხრეთით, სატანკო ძალები. მაგრამ ეს ტანკები გერმანიაში ისე დაბრუნდნენ, რომ არც კი უცდიათ ბრძოლაში ჩაბმა. 15 სექტემბერს ჰიტლერელთა სარდლობამ რამდენიმე ათეული ავიაგამანადგურებელი გამოიყვანა ბრძოლაში „ზიგფრიდის ხაზს“ იქით. მაგრამ ეს ავიაგამანადგურებლები მალე გაიწვიეს უკან.

მოლოდინის წინააღმდეგ „ზიგფრიდის ხაზის“ მისადგომები დანაღმულიც არ ყოფილა. ამ ხაზის ხანგრძლივი საცეცხლე წერტილების გარნიზონებს მაშველი ძალები არ მიეფლიათ. ისინი მოსპეს ამერიკელთა ტანკებმა, ცეცხლსატყორცნებმა, ანდა ხანგრძლივი საცეცხლე წერტილების ნანგრევებში ჩაიმარხნენ.

ჩვენ შტოლბერგის მიდამოებში გავჩერდით. ჩვენთან ერთად განლაგდა ამერიკელთა მძიმე ბატარია. ხანმოკლე მომზადების შემდეგ მან ცეცხლი დაუშინა გერმანელთა პოზიციებს ეშვაილერის რაიონში. ცეცხლი ხშირი და კონცენტრირებული იყო.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

17 სექტემბრის ოპერატიული ცნობა

17 სექტემბრის განმავლობაში ქალაქ ილგავის (მიტავის) დასავლეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშებს და დიდი ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც რუმინეთის ჯარებთან ერთად მოქმედებენ, ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი და მათ შორის **გლეუერია, გუურჩიუ, კრაჩუნეშტი, ნიკოლეშტი** და რკინიგზის სადგური **გურჩიუ.**

ფრონტის სხვა უბნებზე აღგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა და მზვერავები მოქმედებდნენ.

16 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 106 ტანკი, საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 101 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაციის მასირებული თავდასხმები ქალაქებსა და რკინიგზის კვანძებზე სატუ-მარესა და ჩოპზე

16 სექტემბერს ღამით ჩვენმა შორი მოქმედების ავიაციამ მასირებული თავდასხმები მოახდინა ქალაქსა და რკინიგზის კვანძ სატუ-მარეზე (ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში), ქალაქსა და რკინიგზის კვანძ ჩოპზე (25 კილომეტრზე უუგოროდის სამხრეთით). დაბომბილ იქნა გერმანელთა და უნგრელთა სამხედრო ეშელონები და სამხედრო საწყობები.

რკინიგზის კვანძ სატუ-მარეს დაბომბვის შედეგად ბევრი ხანძარი გაჩნდა, მათ შორის 20-მდე მეტად დიდი ხანძარი. იწვოდა რკინიგზის შემადგენლობები და საწვავისა და საომარი მასალის საწყობები. ხანძრებს თან ახლდა აფეთქებანი. განსაკუთრებით ძლიერი აფეთქებები მოხდა რკინიგზის კვანძის სამხრეთ ნაწილში.

ქალაქ ჩოპთან ჩვენი თვითმფრინავების მისკლისას რკინიგზის კვანძზე 10 სამხედრო ეშელონი იყო. ბომბების პირდაპირი მოხვედრებით აფეთქებულ იქნა ოთხი ეშელონი საომარ მასალითანდ და საწვავიანად. გარდა ამისა, დაბომბვით შეიქმნა ხანძრის 30-ზე მეტი კერა. ცეცხლში პერიოდულად ხდებოდა აფეთქებანი, მათ შორის რამდენიმე უდიდესი ძალის აფეთქება.

18 სექტემბრის ოპერატიული ცნობა

18 სექტემბრის განმავლობაში ქალაქ ილგავის (მიტავის) დასავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების იერიშებს.

ქალაქ **სანოკის** სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს **დროგობიჩის** რკინიგზის სადგური **უსტრიკი დოლნიე.**

ფრონტის სხვა უბნებზე აღგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებს და მზვერავები მოქმედებენ.

17 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 134 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 62 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენმა ავიაციამ მასირებული თავდასხმები მოახდინა ქალაქებსა და რკინიგზის კვანძებზე დებრეცენსა და სატუ-მარესზე

17 სექტემბერს ღამით ჩვენმა შორი მოქმედების ავიაციამ მასირებული თავდასხმები მოახდინა ქალაქსა და რკინიგზის კვანძ დებრეცენზე (უნგრეთში), ქალაქსა და რკინიგზის კვანძ სატუ-მარეზე (ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში). საბჭოთა თვითმფრინავებმა დაბომბეს გერმანელებისა და უნგრელების სამხედრო ეშელონები და სამხედრო საწყობები.

დაბომბვის შედეგად რკინიგზის კვანძ დებრეცენში ბევრი ხანძარი გაჩნდა, მათ შორის 5 დიდი ხანძარი. იწვოდა რკინიგზის ვაგონები და პლატფორმები, აგრეთვე საწვავის დიდი საწყობი. ბომბების პირდაპირი მოხვედრებით აფეთქდა საომარი მასალის საწყობი.

რკინიგზის კვანძ სატუ-მარეს დაბომბვით შექმნილია 30-ზე მეტი ხანძარი. დაბომბვის დროს თვალთვალით შემჩნეულია დიდძალი აფეთქებანი. აფეთქებულია საწვავიანი საცალვები და სამხედრო საწყობები.

* * *

ჩვენი საზღვაო ავიაცია თავს დაესხა ლეპაიის (ლიბავის) ნავსადგურს

16 სექტემბერს დღისით წითელდროშოსანი ბალტიის ფლოტის ავიაცია თავს დაესხა ლეპაიის (ლიბავის) ნავსადგურს და დაბომბა მოწინააღმდეგის გემები ნავსადგურში. დაბომბვის შედეგად ჩაძირულია მოწინააღმდეგის 3 ტრანსპორტი 12 ათასი ტონა საერთო წყალწყვეტა და გერმანელთა 3 წყალქვეშა ნავი. გარდა ამისა, დაზიანებულია 2 დიდი ტრანსპორტი და მცურავი დოკი. ნავსადგურში დიდი ხანძრები გაჩნდა. იწვოდა საწყობები მოწინააღმდეგის სამხედრო ქონებიანად.

საჰაერო ბრძოლების დროს ნავსადგურის რაიონში საბჭოთა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 19 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ ილგავის (მიტავის) დასავლეთით მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის, ტანკებისა და თვითმავალი ქვემეხების დიდმა ძალებმა რამდენჯერმე მოიტანეს იერიში ჩვენს პოზიციებზე. გერმანელები ცდილობდნენ რადაც უნდა დასჯდომოდათ გიერეგიათ საბჭოთა თავდაცვა და ქალაქ ილგავისკენ გამოსულიყვნენ. მტრის ყველა იერიში მარცხით დამთავრდა. საბჭოთა ქვეითებმა და არტილერისტებმა უკუაგდეს მოწინააღმდეგე და მტკიცედ ინარჩუნებენ თავიანთ პოზიციებს. გაელეტილია 600 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანებული და დამწვარია მტრის 43 ტანკი. გარდა ამისა, მოწინააღმდეგის 11 ტანკი აფეთქდა ჩვენს დანაღმულ მინდვრებში.

ჩვენმა ავიაციამ დაბომბვითა და იერიშით მძიმე ზარალი მიაყენა მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. ერთი დღის საჰაერო ბრძოლების განმავლობაში საბჭოთა მფრინავებმა გერმანელთა 23 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

* * *

ქალაქ სანოკის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. მტერი ხელსაყრელ თავდაცვითს ზღუდეებს ემყარებოდა და შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა. განსაკუთრებით გაოფთრებული ბრძოლა სწარმოებდა დროგობიჩის ოლქის რაიონულ ცენტრ ქალაქ უსტრიკი დოლნიესათვის. გერმანელებმა ძლიერ გაამაგრეს კამენა ლავორლიას-მთა, რომელიც დაჯურებს მიდამოებს. აქედან ისინი არტილერიის, ნაღმსატყორცნისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლს უშენდნენ ქალაქისაკენ მიმავალს ყველა გზასა და ბილს. თვით ქალაქში მოწინააღმდეგემ თავი მოუყარა ტანკებისა და თვითმავალი ქვემეხების ჯგუფს. ჩვენმა ქვეკანაყოფებმა იერიში მიიტანეს გერმანელებზე და შეიჭრნენ მოწინააღმდეგის ბიმაგრეებში კამენა ლავორლიას მთაზე. ხელჩართულ შეტაკებაში საბჭოთა მებრძოლებმა გაელეტეს 400-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ ვიდის რამდენიმე საარტილერიო ბატარია. ჩვენმა ჯარებმა წარმატება განაგრძეს და დაიკავეს ქალაქი უსტრიკი დოლნიე. ნ შენერთის ნაწილებმა დაიკავეს „ზატკეციელების კვანძი ბუკოვსკო და მთელი რიგი სხვა დასახლებული პუნქტები.

* * *

16 სექტემბერს ღამით ჩრდილოეთის ფრონტის ავიაცია თავს დაესხა კირკენესის ნავსადგურს (ჩრდილოეთი ნორვეგია). გერმანელთა ნაგებობებს და სამხედრო საწყობებს პირდაპირ ხვდებოდა ბომბები, რის შედეგადაც ნავსადგურის ტერიტორიაზე ხანძრის 5 კერა გაჩნდა. თვალთვალით შემჩნეულია რამდენიმე ძლიერი აფეთქება.

* * *

გერმანიის სააგენტომ „ტრანსოკეანმა“ 17 სექტემბერს შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: „ფაბრიკებში, რკინიგზებზე და სხვა საწარმოებში სამუშაოდ ახალგაზრდობის გასათავისუფლებლად საბჭოთა კავშირში იხურება ყველა უნივერსიტეტი, უმაღლესი სკოლა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები“.

ავრცელებენ რა გაუგონარ სიცრუეს სსრ კავშირში უმაღლეს სასწავლებელთა დახურვის შესახებ, ჰიტლერელებს ყოვლად სამარცხვინო სკანდალი მოუვიდათ. ომის ყველაზე ძნელ პერიოდებშიც კი საბჭოთა კავშირის უნივერსიტეტები და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი განაგრძობდნენ შეუფერხებლად მუშაობას. ამ უკანასკნელ ხანს ევრენული ფაშისტი დამპყრობლებისაგან განთავისუფლებულ ქალაქებში კვლავ აღდგენილია 120 უმაღლესი სასწავლებელი. მუშაობა განაახლეს როსტოვის უნივერსიტეტმა, ნოვოჩერკასკის ინდუსტრიულმა ინსტიტუტმა, კიევის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა, ხარკოვის უნივერსიტეტმა და მრავალმა სხვამ. პირველი ოქტომბრიდან სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყება მეცადინეობა. საბჭოთა ხალხი გაბედულად შეჰყურებს მომავალს და სპეციალისტების კადრებს ამზადებს თავისი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების ყველა დარგისათვის. ფაშისტურ გერმანიაში კი ახალ ზეტოტალურ მობილიზაციასთან დაკავშირებით მართლაც ყველა უმაღლესი სკოლა დახურეს და მეცნიერებანი გააუქმეს, რადგან საჭიროდ აღარ მიაჩნიათ. სწორედ ამიტომ ავრცელებენ ჰიტლერელი ყალთაბანდები ყოველგვარ ჭორს. ისინი ფიქრობენ, აღმოჩდებიან ბრიყვები, რომელნიც დაიჯერებენ, რომ არა მარტო გერმანიაში, არამედ საბჭოთა კავშირშიც დახურულია უმაღლესი სასწავლებლები. უბადრუკ ფანდია! რა რიგ გაკოტრდნენ ჰიტლერელი ცრუპენტელები. ისინი დღითიდღე სულ უფრო უაზროდ და სულელურად ცრუობენ.

ევროპელი ბიბლიოფილი

გერმანელების ბოროტმოქმედებანი მოსპობის მაიდანეკის ბანაკში

1944 წლის აგვისტოში შეიქმნა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საგანგებო კომისია გერმანელების იმ ბოროტმოქმედებათა გამოსაკვლევად, რაც ჩადენილ იქნა მოსპობის მაიდანეკის ბანაკში ქალაქ ლიუბლინში. ამ დღეებში კომისიამ დაამთავრა თავისი მუშაობა და გამოაქვეყნა კომუნიკე გამოკვლევის შედეგთა შესახებ.

„ყოველივე ის, რასაც წაწყდა ქალაქ ლიუბლინში გერმანელების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა გამომკვლევი კომისია, — ნათქვამია კომუნიკეში, — თავისი მხეცობითა და ბარბაროსობით დიდად აღემატება საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრისათვის უკვე ცნობილს გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების საშინელ ბოროტმოქმედებათა ფაქტებს“.

ლიუბლინში, მაიდანეკში ჰიტლერელებმა შეაქმნეს სიკვდილის უდიდესი კომბინატი. ტყვედ წამოყვანილმა ბანაკში ნამსახურმა გერმანელებმა აჩვენეს, რომ თვითონ ისინი ეძახდნენ მას „ფერნიჰტუნგს ლაგერ“ (მოსპობის ბანაკს).

ბანაკი „მაიდანეკი“ მდებარეობს 2 კილომეტრზე ქალაქ ლიუბლინიდან. მას უკავია 270 ჰექტარი. მისი შშენებლობა დაიწყო 1940 წლის დამლევს. 1943 წლის დამდეგს დამთავრდა ბანაკის ექვსი მიდნის აგება. თვითეულ მოედანზე იყო 24 ბარაკი, სულ კი 144 ბარაკი (ასამსახურო შენობათა ჩაუთვლელად), რომელთაგან თვითეული სამასზე მეტ კაცს იტევდა. მთელი ბანაკი, ხოლო მის შიგნით თვითეული მოედანი შემოვლებული იყო მავთულეობუტრით, რომლებშიც გადიოდა მაღალი ძაბვის ელექტროდენი.

ბანაკი ერთდროულად იტევდა 25-დან 40 ათასამდე პატიმარს. ზოგჯერ იქ ჰყავდათ 45 ათასამდე კაცი. ბანაკში აღმოჩენილი დიდძალი პასპორტებითა და სხვა საბუთებით, „ბანაკის ლაზარეთში“ დახოცილთა ჩასაწერი წიგნით და მოწმეთა, აგრეთვე ტყვედ წამოყვანილ გერმანელთა ჩვენებით დადგენილია, რომ აქ ჰყავდათ ყოფილი პოლონური არმიის სამხედრო ტყვეები, საბჭოთა სამხედრო ტყვეები, პოლონეთის, საფრანგეთის, ბელგიის, იტალიის, ჰოლანდიის, ჩეხოსლოვაკიის, საბერძნეთის, იუგოსლავიის, დანიის, ნორვეგიისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეები.

ბანაკის პატიმართა შემადგენლობა არ იყო მუდმივი და მყარი. ბანაკში მყოფ ადამიანებს სისტემატურად სპობდნენ, მათ ადგილას კი ჰიტლერელები პატიმართა ახალ ეშტიებს მოერეკებოდნენ ევროპის ოკუპირებული ქვეყნებიდან და რაიონებიდან. მათ შორის იყო მრავალი ქალი და ბავშვი. ამრიგად, ბანაკი ვ ბოგზავნილ პირთა დიდი უმეტესობისათვის მხოლოდ დროებითი ეტაპი იყო სიკვდილისაკენ მიმავალ გზაზე.

ბანაკში ადამიანთა მოსპობის მთელ სისტემას იყენებდნენ. ამ სისტემის ერთ-ერთ არსებითს საშუალებას წარმოადგენდა სასტიკი რეჟიმი: შიმშილი, აუტანელი შრომა, აბუჩად აგდება. პატიმრები შიმშილით სულს ლაგავდნენ. სულ მცირე დანაშაულისათვის რამდენიმე დღეს სულ არ აძლევდნენ საჭმელს. მათ აუტანელ სამუშაოს ასრულებინებდნენ, დაწყებული დილის 4 საათიდან გვიან საღამომდე; გერმანელი მცველები ყოველნაირად სტანჯავდნენ თავიანთ მსხვერპლთ: ახრჩობდნენ ჭუჭყიან წყალში, უკან გაკრული ხელებით ჰყავდათ ჩამოკიდებული, სახრჩობელაზე აჰყავდათ და ა. შ.

გამოკვლევით დადგენილია, რომ გერმანელები სისტემატურად აწყობდნენ მასობრივ ხვრეტას, როგორც თვითონ ბანაკში, ისე ბანაკის ახლოს — კრემპეციის ტყეში. მაგალითად, 1941 წლის ნოემბერ-დეკემბერში დახვრიტეს 2 ათასამდე, ხოლო 1942 წლის ზამთარში 5 ათასამდე საბჭოთა სამხედრო ტყვე. ყოფილი პოლონური არმიის 4 ათასამდე სამხედრო ტყვე დახვრიტეს 1942 წლის შემოდგომაზე. 1943 წლის ზაფხულში დახვრეტილ იქნა 300 საბჭოთა ოფიცერი, 1943 წლის 3 ნოემბრის დახვრიტეს 18,400 კაცი. ამის თაობაზე ბანაკის ადმინისტრაციამ ბერლინში გაგზავნა მოხსენება შემდეგი სახელწოდებით „ზონდერსბეანდლუნგ“ (სპეციალური ღონისძიება), რომელშიც ნათქვამი იყო: „სხვათა ბანაკის პატიმართა დილისა და საღამოს რაოდენობას შორის იმის შედეგია, რომ სპეციალურად მოსპობილ იქნა 18 ათასი კაცი“.

ადამიანთა მასობრივი ყლეტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი იყო CO (ნახშირმჟავეანგას) გაზით და ქიმიური-შხამიანი ნივთიერება „ციკლონით“ (სინილის მეავათი) დახრჩობა. ბანაკის ტერიტორიაზე აღმოჩენილია გაზის 6 კამერა. პატიმრებს ხოცავდნენ ავრეთვე სპეციალურად მოწყობილ ავტომანქანა—„დუშეგუბკებში“. ბანაკის მოსამსახურე გერმანელმა „სს“ ობერშარფიურერმა ტერნესმა აჩვენა, რომ 1943 წლის 16 ოქტომბერს გაზის კამერებში დახოცილ იქნა 500 კაცი, რომელთა შორის ბევრი იყო ქალი და ბავშვი. არასრული ცნობებით ამ კამერებში დახრჩობილ იქნა: 1942 წლის ოქტომბერში ავადმყოფ ქალთა და ბავშვთა დიდი ჯგუფი, 1943 წლის მარტში 250 ქალი და ბავშვი, 300 პოლონელი, 300 სხვადასხვა ეროვნების ადამიანი, 1943 წლის 20 ივნისს—350 კაცი, 1943 წლის 14 ოქტომბერს—270 კაცი.

თავიანთ დანაშაულებათა კვალის დასაფარავად გერმანელები სწვავდნენ მათ მიერ დახოცილ ადამიანთა გვამებს. ამისათვის 1942 წლის დამდეგსვე ბანაკის ტერიტორიაზე ააგეს 2 ღუმელი. 1943 წლის შემოდგომისათვის დამთავრდა 5 ღუმელიანი ახალი მძლავრი კრემატორიუმის შშენებლობა. ამ დღიდან ისინი ანთებული იყვნენ განუწყვეტლივ, ამასთან ერთად გერმანელები კოცონებზე სწვავდნენ გვამებს. კომისიამ გამოარკვია, რომ კრემატორიუმის ღუმელებში, კოცონებზე კრემპეციის ტყეში და თვით ბანაკში დასწვეს 1,380 ათას გვამზე მეტი. ჰიტლერელები ორმოებსა და თხრილებში მარხავდნენ ფერფლს, ბანაკის ბოსტნების ტერიტორიაზე აბნევდნენ მას, მინდვრის გასაპატივებლად იყენებდნენ. „მოსპობის ბანაკში“ აღმოჩენილ იქნა 1,350-ზე მეტი კუბური მეტრი კომპოსტი, რომელიც შესდგება ნეხვის, დამწვარ გვამთა ფერფლისა და ადამიანის წვრილ-წვრილი ძვლებისაგან.

ყველა ეს ფაქტი დაადასტურა ქალაქ ლიუბლინის ყოფილმა სამხედრო კომენდანტმა გერმანიის არმიის გენერალ-ლეიტენანტმა ჰალმარ მოზერმა.

გერმანელები ძარცვავდნენ პატიმრებს, მათთვის წართმეულ ნივთებსა და ქონებას კი ეულმოდგინედ ახარისხებდნენ და გერმანიაში გზავნიდნენ. ბანაკის უზარმაზარ საწყობში აღმოჩენილია ნაწამები და დაღუპული ადამიანების 820 ათასზე მეტი წყვილი მამაკაცის, ქალისა და ბავშვის ფეხსაცმელი, ხოლო გესტაპოს საწყობში (ბოპენის ქუჩა, ქალაქი ლიუბლინი)—დიდძალი თეთრეული და პირადი სახმარი

ქ. თბილისის საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების ქვეგანაყოფთა პარადი. სურათზე: საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების მებრძოლები „დინამოს“ ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონის წინ.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სავალდებულო სამხედრო სწავლების ქვეგანაყოფთა პარადი თბილისში

17 სექტემბერს ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შესდგა ქალაქ თბილისის საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების ქვეგანაყოფთა პარადი.

ნაკრებ კოლონებად ჩამწკრივებულან ქვეგანაყოფთა მებრძოლები. დილის სრულ 11 საათზე საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი პოდპოლკოვნიკი შ. ჯაში ქალაქის სამხედრო კომისარ პოდპოლკოვნიკ ცქიტაშვილისგან იღებს პატაკს და ჩამოუვლის თბილისის რაიონების სავალდებულო სამხედრო სწავლების სპარადად გამწკრივებულ ქვეგანაყოფებს. სამხედრო კომისარი მებრძოლებს ულოცავს საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების მესამე წლისთავს.

შემდეგ ამხ. შ. ჯაში სიტყვით მიმართავს სამხედრო სწავლების ოფიცრებსა და მებრძოლებს.

იწყება ქვეგანაყოფთა პარადი. პირველი იწყებს სვლას ლენინის სახელობის რაიონი. მას მოჰყვება მოლოტოვის რაიონი, რომელსაც ქალაქის სამხედრო კომისარიატისა და ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა თბილისის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა უპყრია. კიროვის სახელობის რაიონის ქვეგანაყოფებს მოჰყვებიან სახელმწიფო შრომითი რეზერვების კოლონები. შემდეგ გაიარეს ორჯონიკიძის, სტალინის, 26 კომისრის, ბერიას სახელობის რაიონების კოლონებმა. კოლონების სვლას ამთავრებენ ფიზკულტურელები.

იწყება თბილისის რაიონების ოცეულთა სამწყობრო მომზადების დათვალიერება და ფაბრიკა-ქარხნების სპარტაკიადა სავალდებულო სამხედრო სწავლების მებრძოლთა მონაწილეობით. სპარტაკიადაში მონაწილეობა მიიღო 30 ფაბრიკა-ქარხანამ, მათ შორის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანამ, დიმიტროვის სახელობის, კიროვის სახელობის, ავტოსარემონტო, კალინინის სახელობის ქარხნებმა. სპარტაკიადაში მონაწილეობა მიიღო სულ 600 კაცმა. შეჯიბრება ჩატარდა ფრენბურთში, ბაგირის გადაძალვაში, ქართულ ჭიდაობასა და ლელოში.

სპარტაკიადაში საუკეთესო შედეგი მოიპოვეს ნ ქარხნის ფიზკულტურელებმა (სასპორტო საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. ი. კუზნი).

დასასრულ სტადიონზე შესდგა მატჩი თბილისის „დინამოს“ და წითელი არმიის საოლქო სასლის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. მატჩი დამთავრდა თბილისის „დინამოელთა“ გამარჯვებით, ანგარიშით 6:1.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

15-16 სექტემბერს შესდგა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმი. პლენუმზე მოსმენილი იქნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. მ. ბალავაძის მოხსენება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 18 აგვისტოს დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

როგორც პლენუმზე იქნა აღნიშნული, საქართველოს მთელ რიგ კომკავშირულ ორგანიზაციებში სუსტია პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდობაში. ლექციები და მოხსენებები ახალგაზრდობისათვის არასაკმაო რაოდენობით ეწყობა, ბევრი ხელმძღვანელი კომკავშირული მუშაკი არ გამოდის მოხსენებებით პოლიტიკურ თემებზე. სერიოზული ნაკლოვანებებია კომკავშირული აქტივის თეორიული სწავლებისა და კომკავშირელთა მარქსისტულ-ლენინური განათლების დაყენების საქმეში. ზოგან ნაკლები ყურადღება ექცევა კულტურულ-მასობრივ მუშაობას ახალგაზრდობაში. განსაკუთრებით არასაკმაო მუშაობას იტარებს კომკავშირი ახალგაზრდა მუშებს შორის საწარმოში, საერთო საცხოვრებლებში. კომკავშირის მთელ რიგ რაიკომებთან არსებული მომხსენებელთა ჯგუფები უმოქმედობას იჩენენ.

სწორედ ამ ნაკლოვანებებს გაუსვა ხაზი თავის დადგენილებაში საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და დაავალა საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებს მთელი ძალების დარაზმვით მიაღწიონ მათ გამოსწორებას.

პლენუმზე სიტყვები წარმოსთქვეს ი. გეგეჭკორმ (ლენინგორი), ზ. ბოლაშვილმა (სიღნაღი), თ. იოსელიანმა (წყალტუბო), ვ. ლაცაბიძემ (ხაშური), გ. გელაშვილმ (ქლუხორი), ა. ციკოლიამ (აფხაზეთი), დ. მაჩაიძემ (თეთრი წყარო), ა. ფარულავამ (საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტი), ს. კოტიეშვილმ (სამხრეთ-ოსეთი), გ. იმნაიშვილმა (საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი), ფ. დუმბაძემ (აჭარა), ა. მელქონიანმა (ახალქალაქი), ა. გობრონიძემ (ზახარაძე), პ. გელაშვილმა (ბორჯომი), ა. ძაძამიამ (ცხაკაია), გ. ცირდავამ (ჩხოროწყუ), კ. მიქიაშვილმა (ზრომითი რეზერვების სამმართველო), დ. მუკელიშვილმა (საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში).

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

პლენუმმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრთა შემადგენლობიდან გაათავისუფლა ამხ. კ. გოგლიძე და ბიუროს შემადგენლობაში შეიყვანა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კადრების დარგში ამხ. ვ. ხარჩილავა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ბარამიამ.

სეზონის გახსნა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში

17 სექტემბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანმა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა დაიწყო თავისი მორიგი სეზონი. მიდიოდა „აბესალომ და ეთერი“. სეზონის გახსნას დიდძალი ხალხი დაესწრო. მაყურებლებმა სპექტაკლი გულთბილად მიიღეს.

წელს 25 წლიწადი შესრულდა „აბესალომ და ეთერის“ პირველი დადგმიდან. რაც დრო გადის, ქართული საოპერო ხელოვნების ეს მარგალიტი სულ უფრო და უფრო ღრმად სწვდება გულში მსმენელს.

ზაქარია ფალიაშვილის ეს უკვდავი ოპერა გვიბრალავს თავისი ღრმა, დრამატიზმით აღსავსე შინაარსით, სცენიური სახეების სიძლიერით, მუსიკის მონუმენტალობით, ლირიზმით აღსავსე მელოდიების უშუალობით და სილამაზით. ზ. ფალიაშვილის მუსიკა ისეთივე მხურვალე და მიმზიდველია, როგორც წარმტაცი და ტრაგიკულია აბესალომ და ეთერის სიყვარულისა და ტანჯვის მთელი ისტორია.

„აბესალომ და ეთერი“ ჩვენი სიამაყეა, ისევე როგორც „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, გალაქტიონის, ვაჟას უკვდავი ქმნილებანი. ამიტომ არის, რომ ამ ოპერის შესრულების დროს მსმენელი მკაცრ მოთხოვნებს უყენებს თეატრს, მთელ მის ანსამბლს—ორკესტრს, გუნდს, ბალეტს, მომღერლებს. ამ სეზონის პირველ სპექტაკლში მაყურებლის წინ წარსდგნენ ჩვენი ცნობილი მომღერლები: ე. სიხაძე (ეთერი), დ. ანდღულაძე (აბესალომი), პ. ამირანაშვილი (ჩურმანი), ნ. ხარაძე (მარეხი). მათ შესძლეს სამღერისა და დრამატიული განცდის მოხერხებულად დაკავშირება, პლასტიკური და ვოკალური ხაზის ორგანულად გაერთიანება. თავის სცენიურ მოქმედებას ისინი საფუძვლად უდებენ მუსიკას. საოპერო სპექტაკლში სწორედ ეს არის მთავარი. ამიტომ არის, რომ მათ მიერ შექმნილი სახეები ასეთი დამჯერებელი და ნამდვილად მონუმენტურია. პირველ რიგში ეს ითქმის დ. ანდღულაძეზე. ის აბესალომის როლს ბუნებრივი სიძლიერითა და გმირული სიმკაცრით ასრულებს.

პ. ამირანაშვილის ჩურმანი არა ჰგავს ჩვეულებრივ ბოროტ ადამიანს. მსახიობი ღრმად სწვდება თავის გმირის ბუნებას და გვიხატავს ჩურმანს, როგორც დიდი ენერგიითა და ადამიანური ღირსებებით შემკულ პიროვნებას.

სადად და მიმზიდველად გადმოგვცემს ეთერის გულუბრყვილო სიყვარულს ე. სიხაძე. მის სიმღერაში ბევრია სითბო და გულწრფელობა. ჩვეულებრივი გრაციოზულობით ასრულებს მარეხის კანცონეტას ნ. ხარაძე.

დასაფასებელია ამ სპექტაკლში ეპიზოდური როლების შემსრულებელთა დინჯი და მუყაითი შრომა. ს. კუნიანიძე (აბიო), ე. ბიჯაკაძე (ნათელა), ზ. სვანიძე (თანდარუხი), გ. შმალცელი (ჩურმანის დედა) თავიანთი შემოქმედებით ხელს უწყობენ სპექტაკლის საერთო წარმატებას.

საუცხოონი არიან თავისი ოსტატობით, გრაციითა და ტემპერამენტით ცეკვის შემსრულებელი ლ. გვარამაძე, ი. სუხიშვილი და მ. ბაუერი. მათ ახასიათებს განსაკუთრებული სმსუბუქე და პლასტიკურობა. ლ. გვარამაძე ლეკურის ნამდვილი ოსტატია.

გრ. კალაძე კარგად გრძნობს ზ. ფალიაშვილის მუსიკის სიდიადეს და მთელ თავის სადირიჟორო ოსტატობას ამ მუსიკის მაღალი პოეტური და ტრაგიკული ძალის გამოვლინებას ანმარს. საუკეთესოდ არის ხაზგასმული პოეტიკური ადგილები. ლირიკულ ბგერადოზაში არის სინაზე და გამჭვირვალობა.

შ. გუჯაჩიძე

დაიწყო შაქრის ხარშვის სეზონი

ჩვენი ქვეყნის მეშაქრეობის ძირითადი რაიონების ქარხნებში დაიწყო შაქრის ხარშვის სეზონი. ყირგიზეთსა და ყაზახეთში უკვე გამოუშვეს პირველი რამდენიმე ათასი ფუთი შაქარი.

ვინიცის, ხარკოვის და ჭარხლის მთესველ სხვა ოლქთა კოლმეურნეებმა ახალი მოსავლის ასობით ტონა ჭარხალი გაგზავნეს ქარხნებში. კურსკის ოლქში მწყობრში შედის შაქრის ათი ქარხანა. (საკდესი).

დეკეზები

კვებეკის კონფერენციისათვის

რუზველტისა და ჩერჩილის ერთობლივი განცხადება

კვებეკი, 16 სექტემბერი (საკდესი). რუზველტმა და ჩერჩილმა შემდეგი ერთობლივი განცხადება გააკეთეს კვებეკის კონფერენციის შედეგების შესახებ.

„პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა, აგრეთვე გაერთიანებული შტაბების უფროსებმა ჩაატარეს მთელი რიგი თათბირები, რომლებზეც განხილული იყო გერმანიისა და იაპონიის წინააღმდეგ ომის ყველა სახეობა. ძალიან მოკლე ხანში მათ მიაღწიეს გადაწყვეტილებათა მიღებას ყველა საკითხში, რომლებიც ეხებიან ევროპაში ომის დამთავრებას, ომისა, რომელიც ახლა თავის ფინალურ სტადიას უახლოვდება, და წყნარ ოკეანეში ბარბაროსების განადგურებას. ყველაზე უფრო სერიოზული სიძნელე, რომელსაც კვებეკის კონფერენციის მონაწილენი შეხვდნენ, იმაში მდგომარეობდა, რომ გამოენახათ იაპონიის წინააღმდეგ იმ უდიდესი ძალების გამოყენების საშუალება და შესაძლებლობა, რომელთა გამოყენებასაც მტრის წინააღმდეგ აკადილობენ თვითეული დაინტერესებული მხარე ცალკე და ყველანი ერთად“.

დღეს შემდგარ პრეს-კონფერენციაზე რუზველტმა განაცხადა, რომ მოკავშირეთა ხელმძღვანელები არავითარ წინასწარმეტყველებას არ აპირებენ გერმანიის სრული დამარცხების ზუსტი თარიღის შესახებ, მაგრამ ისინი იმედოვნებენ მიაღწიონ ევროპაში ომის მალე დამთავრებას, ხოლო შემდეგ დასავლეთი საბჭოთა სახელმწიფოების მთელი ძალები გადაიყვანონ იაპონიის წინააღმდეგ, რათა აიძულონ იგი უპირობო კაპიტულაციისა მოახდინოს. რუზველტმა განაცხადა, რომ დასავლეთი საბჭოთა სახელმწიფოების ხელმძღვანელებმა კვებეკის კონფერენციაზე შეიმუშავეს შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და დომინიონების ერთობლივ ღონისძიებათა გეგმები საომარი მოქმედების შორეული აღმოსავლეთის ასპარეზზე გადამწყვეტი კამპანიის განსახორციელებლად.

იმავე პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა ჩერჩილი, რომელმაც განაცხადა, რომ ომის ამბების სწრაფად განვითარებამ მოკავშირე ქვეყნების ხელმძღვანელებისათვის მეტად საჭირო გახადა თათბირების ხშირად მოწვევა მათი დიდი საქმეების განსახილველად. მოკავშირეთა უდიდესი გმარჯვებანი, განსაკუთრებით ევროპაში, წინასწარ იყო დასახული კაიროსა და თეირანის წინანდელ კონფერენციებზე შემუშავებულ სამოკავშირეო გეგმებში.

ჩერჩილმა გააკეთა ახლანდელი საომარი მდგომარეობის ოპტიმისტური მიმოხილვა და აღნიშნა, რომ კვებეკის კონფერენცია შეიკრიბა იმ მომენტში, „როცა ჩვენი ამოცანის მეტი ნაწილი შესრულებას უახლოვდება“. ჩერჩილმა განაცხადა, რომ დიდ ბრიტანეთს განზრახვა არა აქვს უარი სთქვას თავის ვალდებულებებზე გერმანიის დამარცხების შემდეგ. დიდი ბრიტანეთი, ისევე როგორც დომინიონები, მტკიცედ სცნობს იმის აუცილებლობას, რომ იკისროს წყნარ ოკეანეში წარმოებულ ოპერაციებში მონაწილეობის უდიდესი წილი და შეერთებულ შტატებს არ დაეკისროს „მეტისმეტად დიდი სიმძიმე“.

ევროპაში გამარჯვების მოპოვებისთანავე, — სთქვა ჩერჩილმა,—დასავლეთი საბჭოთა სახელმწიფოების მთელი უდიდესი ძალა, რომელიც ამჟამად თავმოყრილია ევროპაში, მიმართულ იქნება იაპონიის წინააღმდეგ. მან აღნიშნა, რომ მოკავშირეთა ოპერაციები ევროპაში ხორციელდებოდა „საათის მექანიზმის სიზუსტით“, და რწმენა გამოსთქვა, რომ იაპონიის წინააღმდეგ მოქმედება განხორციელებულ იქნება იმავე სიზუსტით.

ჩერჩილი შეეხო კვებეკის კონფერენციაზე იდენის დასწრებას და განაცხადა, რომ სხვადასხვა საკითხების განხილვა კონფერენციაზე არ შეიძლებოდა მტკიცედ განსაზღვრულიყო სამხედრო ხასიათის საკითხებით და, ბუნებრივია, შეეხნენ ეკონომიური, ფინანსიური და დიპლომატიური ხასიათის სხვადასხვა პრობლემებს.

ჩერჩილის გამგზავრება კვებეკიდან

ლონდონი, 18 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის საააგენტოს კორესპონდენტი გადმოგვცემს, ჩერჩილი მატარებლით გამოემგზავრა კვებეკიდან.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 17 სექტემბერი (საკდესი). ავიაციის სამინისტროს ცნობით, 10-დან 14 სექტემბრამდე ინგლისის ბომბდამშენებმა გერმანიის სხვადასხვა სამრეწველო ობიექტებს 13 ათას ტონაზე მეტი ბომბი დააყარეს, ე.ი. დღე-დამეში ორი ათას ხუთას ტონაზე მეტი. გერმანიის დაბომბვის ოპერაციების ასეთი მასშტაბი შესაძლებელი გახდა საფრანგეთსა და ბელგიაში გერმანიის არმიების განადგურების მეოხებით.

16 სექტემბერს ღამით ინგლისის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ბრაუნშვაიგს.

დღეს დილით ამერიკის მძიმე ბომბდამშენთა დიდმა შენაერთებმა ავიაგამანადგურებელთა თანხლებით დაბომბეს გერმანიის ბატარიები დიდ სივრცეზე ჰოლანდიაში.

მოკავშირეთა დიდი ავიადესანტის გადასხმა ჰოლანდიაში

ლონდონი, 17 სექტემბერი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბი იუწყება, რომ მოკავშირეთა პირველი ავიასადესანტო არმიის დიდი ძალები დღეს ნაშუადღევს ჰოლანდიაში გადასხდნენ.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ჟენევა, 17 სექტემბერი (საკდესი). იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბის ცნობით, სერბიაში ფრონტის ყველა უბანზე გრძელდება იუგოსლავიელთა ნაწილების შეტევითი ოპერაციები. აღმოსავლეთ სერბიაში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს მაიდან პეკი. იუგოსლავიის ჯარების მიახლოვებისას ქალაქის მოსახლეობა აჯანყდა და განიარაღა ნეტნიკებისა და ნედიჩელების ბანდები.

ბოსნიასა და მაკედონიაში გრძელდება ოკუპანტთაგან ტერიტორიის გაწმენდა. დემირ კაპიის მახლობლად მოგერიებულ იქნა გამოხდომა გერმანელთა დიდი კოლონისა, რომელიც ცდილობდა საბერძნეთიდან ჩრდილოეთისაკენ გაჭრილიყო.

ჰერცეგოვინაში ნევესინიე-ულოგის სექტორში განადგურებულია გერმანელთა და ჩეტნიკთა ძლიერი რაზმები, რომლებიც მოწინააღმდეგის კომუნიკაციებს იცავდნენ.

დალმაციაში იუგოსლავიელთა ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი ბენკოვაცი.

სლოვენიაში იუგოსლავიელ პარტიზანთა რაზმები განაგრძობენ მტრის კომუნიკაციების მოშლას.

გერმანელთა ზარალი საფრანგეთში

ლონდონი, 17 სექტემბერი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბმა გამოაცხადა, რომ გერმანელთა ზარალი საფრანგეთსა და ბელგიაში 15 სექტემბრამდე 750 ათას ჯარისკაცს შეადგენს. მარტო გენერალ ბრედლის მეთორმეტე საარმიო ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ამერიკის პირველი და მესამე არმია, ტყვედ წამოიყვანა დაახლოებით 250 ათასი გერმანელი. გენერალ დევერსის მეექვსე საარმიო ჯგუფმა ხელთ იგდო 80 ათასი ტყვე ხმელთაშუა ზღვის საფრანგეთის სანაპიროზე გადასხდომის მომენტიდან, მაშინ როცა ფელდმარშალ მონტგომერის 21-ე საარმიო ჯგუფმა ტყვედ წამოიყვანა 70 ათასი კაცი. გარდა ამისა, მრავალი ათასი გერმანელი გარშემორტყმულია ლა-მანშის ნავსადგურების რაიონებში, ბრესტში და მდინარე შელდის სამხრეთ სანაპიროზე. დასასრულ, გამოანგარიშების მიხედვით, 150 ათასზე მეტი გერმანელი მოკლულია ბრძოლებში.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 18 სექტემბერი (საკდესი). ლონდონში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ 17 სექტემბრის ღამით „მოსკიტოს“ მარკის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ბრემენს. დაბომბვის შედეგად გაჩნდა დიდი ხანძრები. „ლანკასტერის“ მარკის თვითმფრინავები თავს დაესხნენ საომარი მასალების საწყობს ჰოლანდიაში. ყველა თვითმფრინავი ბაზებში დაბრუნდა.

17 სექტემბერს დღისით ინგლისის ბომბდამშენები თავს დაესხნენ მტრის სხვადასხვა ობიექტებს. ამ ოპერაციების დროს, რომლებშიც მონაწილეობას იღებდა 1.250 ბომბდამშენი, არც ერთი თვითმფრინავი არ დაგვაკარგავს.

რუმინეთის მინისტრის განცხადება რუმინეთთან დროებით ზავზე შეთანხმების შესახებ

ბუქარესტი, 16 სექტემბერი (საკდესი). მინისტრმა პატრაშკანუმ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა:

„რუმინელმა ხალხმა უნდა იცოდეს სიმართლე, მთელი სიმართლე. რუმინეთმა წააგო ომი, რომელიც სწარმოებდა რუმინელი ხალხის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ. რუმინეთის არმიებმა მიაღწიეს კავკასიამდე, სტალინგრადამდე და მოახდინეს ყირიმისა და ინიერნენსტრის ოკუპაცია. ანტონესკუმ და მისმა რეჟიმმა რუმინელი ხალხი ჩაითრიეს ომ დანაშაულებისა და ძარცვაში, რასაც ჰიტლერელები სჩადიოდნენ. ბესარაბიაში, ინიერნენსტრში და ოდესაში, ნალჩიკამდე და ყალმუხეთის ველებამდე დანაშაულებრივი ხელმძღვანელები აქეზებდნენ ჩვენს არმიას ასიათასობით ადამიანთა დასახოცავად. ანტონესკუს დაქირავებულ აგენტთა — მძარცველთა ბანდებმა გაძარცვეს მთელი ოლქები, ანგრევდნენ ლაბორატორიებს, მაროდიორობდნენ. ყოველივე ეს რუმინელი ხალხის სახელით ხდებოდა. მოსკოვს რომ ჩავედით, დავინახეთ, რომ ჩვენს მიერ უკრაინაში ნახული სურათი ომისა აღბეჭდილია ყოველი საბჭოთა მოქალაქის შეგნებაში. სულ სამი კვირა გავიშორებს 23 აგვისტოს. ნუთუ ჰგონია ვისმე, რომ ეს ვადა საკმარისია ამ უკანასკნელი სამი წლის კვალის წასაშლელად?“

დროებითი ზავის პირობების გადმოცემამ შემდეგ პატრაშკანუმ განაგრძო:

„ახლა რუმინელი ხალხი იცნობს დროებითი ზავის პირობებს. ეს პირობები მთლიანად და სავსებით უნდა შესრულდეს. რუმინეთმ, რომელიც გუშინდლამდე მტრულ ქვეყნის წარმოადგენდა, გახდება წამდვილი მოკავშირე სსრ კავშირისა და სხვა ხალხებისა, რომლებიც ბრძოლას ეწევიან თავისუფლებისათვის. რეგენტები სამშინაო საკითხებს, მხოლოდ ნამდვილი, და არა ფორმალური დამყარება დემოკრატიული რეჟიმისა და მოსპობა წარსული რეჟიმის ყველა ინსტიტუტისა, აგრეთვე სახელმწიფო აპარატიდან და მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან ფაშისტური და პროფაშისტური ელემენტების განდევნა მიცემს რუმინელ ხალხს დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების საფუძველზე გზას ჩვენ ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ“.

ამერიკული პრესა რუმინეთთან დროებითი ზავის პირობების შესახებ

ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი (საკდესი). ამერიკული პრესა ერთსულოვნად აღნიშნავს, რომ რუმინეთთან დროებითი ზავის პირობება ლმობიერია. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ განსაკუთრებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მოკავშირეთა ერთობლივი ხელმოწერა დროებითი ზავის ხელშეკრულებაზე მოწმობს მოკავშირეთა შორის ერთიანობასაც.

„თუ მხედველობაში მივიღებთ ყველა გარემოებას, — სწერს გაზეთი, — უნდა ითქვას, რომ ეს პირობები მკაცრი არ არის. მართლაც, ისინი შეიძლება უფრო ლმობიერი გვეჩვენოს, ვიდრე იტალიისათვის წარდგენილი პირობები. მაგრამ ასეთი პირობები წარდგენილ იქნა იმ დიდმნიშვნელოვანი ფაქტის გამო, რომ რუმინეთი დათანხმდა მოკავშირეებთან ერთად მხარდამხარ ბრძოლით გამოისყიდოს თავისი დანაშაული“.

გაზეთი „სანი“ (ბამდის ნიუ-იორკში), აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავს რუმინეთთან დროებითი ზავის პირობების ლმობიერებას. გაზეთის სიტყვით, დროებითი ზავის პირობები შეესაბამება მოკავშირეთა იმ მიზნებს, რომლებიც ითვალისწინებენ ისეთ დამოუკიდებელ მთავრობათა შექმნას, რომელთაც უნარი შესწევთ შეინარჩუნონ თავიანთი ღირსება და მშვიდობიანობა სამართლიანი ბუნებრივი საზღვრების აღიარების გზით.

ცნობილი ამერიკელი რადიოკომენტატორი სერგიო თავის სიტყვაში ერთმანეთს ადარებდა იტალიასა და რუმინეთთან დადებულ დროებითი ზავის პირობებს. სერჯიომ განაცხადა, რომ რუმინეთთან დროებითი ზავის რუსების მიერ ჩამოყალიბებულ პირობებს, რომლებიც ინგლისელებმა და ამერიკელებმა მოიწონეს, უფრო დემოკრატიული ხასიათი აქვთ.

გაზეთი „ვაშინგტონ სტარი“ აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავს დროებითი ზავის პირობების ლმობიერებას და მოკავშირეთა შორის ერთიანობას.

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 18 სექტემბერი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

17 სექტემბერს დიდი სამხედრო-საჰაერო ძალების მძლავრი ოპერაციების შემდეგ ჰოლანდიაში გადასხდნენ მოკავშირეთა საავიადესანტო ჯარები. პირველი ცნობების თანახმად, ეს ოპერაცია წარმატებით ვითარდება.

ბელგია-ჰოლანდიის საზღვრის მახლობლად მოქმედი მოკავშირეთა ჯარები წინსვლას განაგრძობენ. ფფრო სამხრეთით მოსპობილია წინააღმდეგობის კერები აახენის გარეუბნებში. ქალაქში მძიმე ბრძოლები გრძელდება. მოკავშირეთა ნაწილები, რომლებიც ქალაქის აღმოსავლეთ გარეუბნებისაკენ მიიწევენ, მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას ხვდებიან.

მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს აგრეთვე ლუქსემბურგ-გერმანიის საზღვრის რაიონში.

გერმანელები კვლავ გააფთრებით იბრძვიან ბელფორთან მდებარე კორიდორის რაიონში. მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი სენლუ-სიურ-სემუზი და მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს ლური.

ინრრა-ს სესიის გახსნა

ოტავა, 18 სექტემბერი (საკდესი). გუშინ მონრეალში ოფიციალურად გაიხსნა ინრრა-ს (გაერთიანებული ერების დახმარებისა და აღდგენის ადმინისტრაცია) მეორე სესია.

სესიაზე ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ვ. ა. სერგეევის მეთაურობით.

ჰიტლერელი დამნაშავენი თავს აფარებენ ესპანეთსა და არგენტინას

ლონდონი, 18 სექტემბერი (საკდესი). გაზეთ „სანდი დისპეტჩის“ დიპლომატიური მიმმახილველი სწერს, რომ ყოველ ოთხ-ექვს საათში შტუტგარტიდან ბარსელონაში (ესპანეთი) ჩადიან გერმანელთა თვითმფრინავები. ყოველ ჩასვლაზე მათ მიჰყავთ 24 ჰიტლერელი, რომლებიც თავს შველიან გერმანიიდან გაქცევით, სანამ შესაძლებლობა აქვთ, ესპანეთიდან ისინი არგენტინაში მიდიან. ამ სამგზავრო თვითმფრინავების შემდეგ ჩადიან სატრანსპორტო თვითმფრინავები, რომლებიც ჩაადგენ ჰიტლერელთა ნივთებს და ქონებას, აგრეთვე მათი კუთვნილი ფასეულობანი.

გაზეთი „სანდი ეკსპრესი“ თავის მოწინავეში აღნიშნავს, რომ ჰიტლერს შეუძლია თავისუფალი და კარგი მიღება ჰპოვოს არგენტინაში. „დადგა დრო,—სწერს გაზეთი,—გულახდილად მოველაპარაკოთ ამ ქვეყანას.

ლექციები

19 სექტემბერს, ხალამოს 7 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში (საბჭოს ქ. № 134) „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ დამოუკიდებლად შემსწავლელთა დასახმარებლად შესდგება ამხ. მელაძის ლექცია ქართულ ენაზე. თემა: „მენშევიკები და ბოლშევიკები რუსეთ-იაპონიის ომის და რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში (1904-1907 წ.)“.

20 სექტემბერს, ხალამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის პარტკაბინეტში (ლენინგორის პრსპ. 83) შესდგება ამხ. ხელეიმანის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „ჰიტლერული გერმანია კატასტროფის წინაშე“.

19 სექტემბერს, ხალამოს 7 საათზე, მარქს ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის სხდომათა დარბაზში შესდგება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, პოლიტიკური ეკონომიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ლექტორთა რესპუბლიკური თათბირი.

თათბირზე განხილულ იქნება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, პოლიტიკური ეკონომიის, ფილოსოფიის და სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრების გამგეთა სრულიად-საკავშირო თათბირის შედეგები.

კონსულტაცია

20 სექტემბერს, ხალამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) ლექტორების, პროპაგანდისტების, მომხსენებლებისა და აგიტატორებისათვის შესდგება ამხ. ფრიშენბერგის კონსულტაცია რუსულ ენაზე. თემა: „სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“ (ოსტომეტი ღლის მიმოხილვა).

თეატრებში

19 სექტემბერს: სახელმწიფო ოპერა — „ფაუსტი“. რუსთაველის სახელობის—„კიკვიძე“. გრიბოედოვის სახელობის—„უკანასკნელი მსხვერპლი“. სომხური—„ლალატი“. ახუნდოვის სახელობის—„ლეილი და მაჯნუნი“. მოზარდი მაყურებლის — ქართული—„ვალია სოკოლოვა“, რუსული — „კუზიანი კვიცი“. თოჯინების—ქართული — „ბებია დარეჯანის ზღაპრები“, რუსული—„ტერემ-ტერემოკ“.

კინოებში

19 სექტემბერს: რუსთაველის სახელობის—„მზიური ველის სერენადა“. ოქტომბერი — „მასკარადი“. დამკვრელი—„სამი მუშკეტერი“. კომკავშირელი—„შვიდი მამაცი“. სპარტაკი — „არინკა“. ლუსემბურგის სახელობის—„სიმღერა სიყვარულზე“. 26 კომისრის სახელობის—„დიადი ცხოვრება“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მწუხარებით იუწყება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ამბროსი მიხეილის-ძე ჯოლოკავას გარდაცვალებას.

„საქმედდამზადება-მომარაგების“ მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება ამბროსი ჯოლოკავას გარდაცვალებას.

ბიძა ისაკი, ბიცოლა ვასასი, ბიძაშვილები მერი, დავით, ნაზი ქათამაძეები იუწყებიან ფინა მელიტონის-ასულ ქათამაძის გარდაცვალებას.

მეუღლე ანტონინა იუწყება ვასილ ნესტორის-ძე ამაშუკელის გარდაცვალებას. გამოსვენება 19/IX, 6 ს. ვაკის სასაფლაოს მუშაკთა საერთო საცხოვრებლიდან. დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე.

მშობლები დავით, მარიამ, ძმა იოსებ, დეგი სოფიო, ვარა, ვენერა, რძლები ნათელა, ნინო, დეიდა ანა იუწყებიან ზეინაბ ალაფაშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 21/IX, 4 ს., მახარაძის, 6.

მეუღლე ალექსანდრე შვილებით, დედამთილი ანასტასია, მაზლი ვლადიმერ ცოლშვილით იუწყებიან მარგარიტა მესხიშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20/IX, 7 ს. გამოსვენება 21/IX, 6 ს. ჯაფარიძის, 18.

მშობლები აკაკი, მარგო, ბაბუა თომა, ბებია ეკატერინე, ბიძები ბენო, კოწო, რაფო, მამიდა ოვდითი ჩიკვაიძეები იუწყებიან მაყვალა